

## საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს კომპიუტერული ქსელის შექმნის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში (შემდგომ – სასახლე) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. კონკურსში გამარჯვებულმა, საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამის სპეციალისტებთან ერთად შესწავლის შემდგომ, უნდა წარმოადგინოს სასახლის ყველა კორპუსში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ითვალისწინებს არსებულ გარემოებას, აღწერდეს ქსელის მოწყობას და საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ განხორციელდეს კომპიუტერული ქსელის აქტიური და პასიური აპარატურის შესყიდვა (თანმდები მომსახურებით, მათ შორის ტრენინგების ჩატარება). აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 7000 (შვიდიათასი) ლარი.

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №: GE52BR0000010591718543	

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-5 ან მე-6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2013 წლის 11 მარტს 11:00 საათიდან და მთავრდება 2013 წლის 13 მარტს 15:00 საათზე.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

13. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს:

- სრული ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული არანაკლებ 3 (სამი) კომპიუტერული ქსელის შექმნის პროექტის შესახებ (თითოეული არანაკლებ 100 (ასი) მომხმარებლიანი);

- ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;

- რეკვიზიტები.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს სასახლის ყველა კორპუსში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას კონცეპტუალურ დონეზე. განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- პირველადი სამუშაო ნახაზები (დაქსელვის გეგმა სავარაუდო წერტილების მითითებით);

- მასალებისა და მოწყობილობების სავარაუდო რაოდენობები და სპეციფიკაციები,

- თანმდევი მომსახურებების მიწოდების სავარაუდო გრაფიკი;

- სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს საბოლოო დოკუმენტაცია იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად. საბოლოო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი ნახაზებით (ცალკე ქსელის პასიური ნაწილის და ცალკე ქსელის აქტიური ნაწილის), შედგენილი იმ მომენტისათვის არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;

- მუშა ნახაზები (კომპიუტერული დაქსელვის გეგმა წერტილების მითითებით);

- პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა;

- მასალებისა და მოწყობილობების რაოდენობები და სპეციფიკაციები;

- თანმდევი მომსახურებების მოცულობები;
- თანმდევი მომსახურებების მიწოდების სავარაუდო გრაფიკი;

14. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (7000 ლარი), არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.4;
- სრული დაგეგმარების კონცეფცია: კოეფიციენტი – 0.3;
- კომპიუტერული ქსელების პროექტირების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.3.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ტექნიკური ან კონცეპტუალური თვალსაზრისით.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

18. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს საბოლოო დოკუმენტაციაში.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

20. საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად.

21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. კონკურსანტს საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე; ტელ.: (995 32) 2 28 90 81 – ზაურ ჯიოშვილი, (995 32) 2 28 90 08 – მერაბ გოცირიძე.

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში (შემდგომ – სასახლე) კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის საპროექტო მომსახურება.

სასახლე შედგება „A“, „B“ და „C“ კორპუსებისგან (იხ. დანართი 1). „A“ და „B“ კორპუსები არის 5-სართულიანი შენობები, რომლებიც მე-5 სართულზე ერთმანეთს კორიდორებით უკავშირდება.

„C“ კორპუსის მარჯვენა და მარცხენა ფლიგელები არის 7-სართულიანი (ეზოს დონე, 0–5), შუა ფლიგელი – ასევე 7-სართულიანი (0–6). „C“ კორპუსის მარჯვენა ფლიგელის პირველი და მე-2 სართულები გადასასვლელით უკავშირდება „B“ კორპუსის მე-4 და მე-5 სართულებს, ხოლო „C“ კორპუსის მარცხენა ფლიგელის მე-2 სართული უკავშირდება „B“ კორპუსის მე-5 სართულს.

ოთახების საერთო რაოდენობაა 650, ხოლო წერტილების სავარაუდო რაოდენობა – 1800–2100.

სერვერების ოთახის მოწყობა დაგეგმილია „C“ კორპუსის ნულოვან სართულზე, რომელიც მითითებულია ნახაზზე. ყველა საკომუნიკაციო კარადას (რეკს) შორის კავშირი უნდა იყოს დუბლირებული (Backup).

დამპროექტებელმა ორ ნაწილად უნდა წარმოადგინოს კომპიუტერული ქსელის როგორც პასიური, ისე აქტიური ნაწილის პროექტი და ასევე უნდა განსაზღვროს სასერვერო ოთახის მოთხოვნები (ოთახის ზომები, შეკიდული ჭერი, ორმაგი იატაკი, კომპიუტერული ქსელისა და დენის წყაროს წერტილები, გაგრილება, სახანძრო დაცვა და სხვა).

დამპროექტებელმა პარლამენტის საკომუნიკაციო კვანძების მოწყობა უნდა გაითვალისწინოს არსებული საკომუნიკაციო აპარატურის განთავსების ადგილას, დამკვეთთან შეთანხმებით.

### I. პასიური კომპიუტერული ქსელის ნაწილი

**პასიური ქსელის პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:**

**საკომუნიკაციო კარადები (რეკები)**

**სასერვერო კარადის ტექნიკური მახასიათებლები:**

დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს საკომუნიკაციო კარადების რაოდენობა.

42U19-დიუმიანი სასერვერო კარადა - წინა და უკანა კარებით. ფერი – სასურველია შავი. ვენტილაცია – არანაკლებ 6-ქულერიანი, სასერვერო რეკთან თავსებადი ვენტილაციის 220V-იანი სისტემა. დენის გამანაწილებელი – რეკთან თავსებადი არანაკლებ 8 -შესაერთებლიანი გამანაწილებელი. კარადა მოწყობილობებისა და პაჩპანელების სამაგრები გათვლილი უნდა იყოს შემდეგ სპეციფიკაციებზე:

**სტანდარტი: EIA-310**

- ფორმა: იატაკზე დასაყენებელი;

- კარადის სიმაღლე: მინიმუმ 42RU;
- კარადის სიღრმე: მინიმუმ 1000 მმ;
- კარადის სიგანე: მინიმუმ 800 მმ;
- ჩატვირთვა: მინიმუმ 1000 კგ.

**საკომუნიკაციო კარადის ტექნიკური მახასიათებლები:**

დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს საკომუნიკაციო რეკების რაოდენობა.

16U19-დიუმიანი სასერვერო კარადა - წინა კართ. ფერი - სასურველია შავი. ვენტილაცია - არანაკლებ 2-ქულერიანი, სასერვერო რეკთან თავსებადი ვენტილაციის 220V-იანი სისტემა. დენის გამანაწილებელი - რეკთან თავსებადი მინიმუმ 8 - შესაერთებლიანი გამანაწილებელი. კარადა მოწყობილობებისა და პაჩპანელების სამაგრები გათვლილი უნდა იყოს შემდეგ სპეციფიკაციებზე:

**სტანდარტი: EIA-310**

- ფორმა: კედელზე დასაყენებელი;
- კარადის სიმაღლე: მინიმუმ 16RU;
- კარადის სიღრმე: მინიმუმ 600 მმ;
- კარადის სიგანე: მინიმუმ 600 მმ;
- ჩატვირთვა: მინიმუმ 60 კგ.

**მოთხოვნები კომპიუტერული ქსელის სადენების მიმართ.**

- ქსელის სადენის ტიპი: მინიმუმ Cable PiMF Compact CAT. 7 F/FTP, 600MHz, 23AWG, LSZH, EMEA.

**სადენის მახასიათებლები:**

**ქსელის სადენის გამტარობა:**

10 Gigabit Ethernet, Gigabit Ethernet 1000 Base-T, Fast Ethernet 100 Base-T, Ethernet 10 Base-T, Token Ring, ATM 155 Mbps, TP-PMD 100 Mbps, ISDN, analog (broadband, baseband) and digital video and analog and digital (VoIP) voice.

Transmission performance:

exceeding Category 7 requirements of:

ISO/IEC 11801 2nd edition

IEC 61156-5

EN 50173-1 2nd Edition

EN 50288-4-1

Compliant to:

Fire rating IEC 60332-1

Toxicity IEC 60754-1

Acid gas IEC 60754-2

Smoke density IEC 61034-2

- დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს ქსელის სადენების რაოდენობა სადენების გაყვანის ტრასების მიხედვით, წერტილების რაოდენობისა და განლაგების შესაბამისად;
- ქსელის წერტილების რაოდენობა (დაზუსტდება დაპროექტების სტადიაზე);
- ქსელის წერტილების ტიპები (რაოდენობა დადგინდება დაპროექტების სტადიაზე):
  - ქსელური როზეტები მომხმარებლისა და IP ტელეფონისთვის;
  - IP ტელევიზიისთვის;
  - უსადენო ინტერნეტის მოწყობილობებისთვის;
- ქსელის წერტილების შესაერთებლად გამოყენებული უნდა იქნეს FTP Patch Cord, F/UTP, CAT. 6A, RJ 45, PVC შემართებული სადენი. შემართებული სადენის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 3 მეტრს;
- ქსელური keystone: Cable Mounted Jacks, TWIST-6S SL, Shielded, 10GB appr., 180dg, w/o Dust Cover.

#### მახასიათებლები:

- Product Type = Connector – Modular;
- Performance Category = Cat 6;
- Jack Type = RJ45;
- Wiring Pattern = Universal;
- Termination Style = SL Termination Tool;
- Shielded = Yes;
- Conductor O.D. (mm) = 1.60;
- Cable Diameter (Max.) (mm) = 9.00.

#### სტანდარტი:

- RoHS/ELV Compliance = RoHS compliant, ELV compliant;
- Lead Free Solder Processes = Not relevant for lead free process;
- ქსელური keystone და ქსელური keystone-ს როზეტი უნდა იყოს თავსებადი.

დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს პროექტში გამოყენებული სადენის არხების ზომები, რაოდენობა და ტიპი.

#### 24-პორტიანი ქსელის სადენის პაჩ-პანელი.

დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს პაჩპანელების რაოდენობა.

#### მოდულარული 24-პორტიანი ქსელის სადენის ცარიელი პაჩპანელი ტექნიკური

##### მახასიათებლები:

- Rack Mount.

##### სტანდარტი: RoHS/ELV Compliance = RoHS compliant, ELV compliant.

მოდულარული 24-პორტიანი ქსელის სადენის პაჩპანელი სრულად თავსებადი უნდა იყოს პაჩპანელის შემაერთებელ Jack TWIST-6S SL, Shielded, 10GB appr., 180dg, w/o Dust Cover მოდულებთან. პაჩპანელები სრულად უნდა იყოს დაკომპლექტებული

პაჩკანელის შემაერთებელი მოდულებით, შესაბამისი რაოდენობის FTP Patch Cord, F/UTP, CAT. 6A, RJ 45, PVC შემაერთებელი სადენებით, სიგრძე: მაქსიმუმ 0,5.

## პასიური ოპტიკური ქსელი

### მოთხოვნები ოპტიკური ქსელის მიმართ

- შენობა დაკაბელებული უნდა იყოს FO Cable Internal/External Rodent Resistant Loose Tube, Unitube, 12 Fibers, 50/125, MM, OM4 (XGA), ULSZH, IT=1.25kN, CR=1kN, EMEA ტიპის ოპტიკური სადენით;
- სადენების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შენობის არქიტექტურის, სადენის გაყვანის ტრასების, ოპტიკური პაჩკანელების რაოდენობისა და განლაგების მიხედვით;
- დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს ოპტიკური პაჩკანელების რაოდენობა და კომპლექტაცია;
- დამპროექტებელმა უნდა განსაზღვროს ოპტიკური პაჩკორდების რაოდენობა, სიგრძე და ტიპი.

კომპიუტერული ქსელის პასიური ნაწილის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ცნობილი ბრენდების სერტიფიცირებული სადენები და სხვა კომპონენტები.

## II. აქტიური კომპიუტერული ქსელის ნაწილი

### მოთხოვნები მაღალი დონის პროექტირების მიმართ.

პროექტი უნდა აღწერდეს ქსელური ინფრასტრუქტურის შემდეგ კომპონენტებს:

- დაშვების ქსელი;
- უსადენო დაშვების ქსელი;
- აგრეგაციის ბლოკი;
- შიდა სერვერების ბლოკი;
- ინტერნეტთან წვდომის ბლოკი.

პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგი ტექნოლოგიების განხორციელების მიმოხილვას:

- დაშვების ქსელის მე-2 დონის უსაფრთხოების მექანიზმები;
- IPv4/IPv6 მისამართების მინიჭების ტექნოლოგია;
- შიდა მარშრუტიზაციის ოქმები, მარშრუტიზაციის უსაფრთხოება, სუმარიზაცია;
- მარშრუტიზაცია ინტერნეტის საზღვარზე, საიმედო შეერთება რამდენიმე ინტერნეტპროვაიდერთან;
- ინტერნეტშეერთების უსაფრთხოება, დემილიტარიზებული ზონა;
- სხვადასხვა ტიპის ტრაფიკის ოპტიმალური და უსაფრთხო მომსახურება (მაგალითად: Data, Voice, Multicast, IPTV, CCTV, Wireless);
- დაშვების ქსელზე მიერთება უნდა განხორციელდეს 1 Gigabit Ethernet ტექნოლოგიით;
- დაშვების ქსელს უნდა ქონდეს IEEE 802.3at ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

- დაშვების ქსელს უნდა ქონდეს ენერჯის ეფექტიანად მოხმარებისა და გაცემის შესაძლებლობა.

### **პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**

#### **საიმედოობა**

- არცერთი ცალკე აღებული კომპონენტის (მოწყობილობა, არხი) მწყობრიდან გამოსვლა არ უნდა იწვევდეს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან შეფერხებას;
- კრიტიკული როლის შემსრულებელი მოწყობილობები უნდა იყოს დუბლირებული და თითოეული აღჭურვილი უნდა იყოს 2 დამოუკიდებელი კვების წყაროთი.

#### **მართვადობა**

- უნდა ხორციელდებოდეს სისტემური პროცესებისა და მოვლენების სრული მონიტორინგი;
- უსადენო დაშვების ქსელი უნდა იმართებოდეს ცენტრალიზებულად;
- ქსელში უნდა გაიმართოს ქსელური კომპონენტების მართვის სისტემა, რომელიც განახორციელებს ქსელის კომპონენტების მართვას, შეფასებას, სერვისების ავტომატიზაციას, უზრუნველყოფას და მომხმარებლის იდენტიფიცირების კონტროლს.

#### **უსაფრთხოება**

- ქსელში უნდა გაიმართოს ცენტრალიზებული აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემა. აუცილებელია ქსელის აქტიური კომპონენტების ინტეგრაცია მოცემულ სისტემასთან. მან ასევე უნდა უზრუნველყოს არსებულ მომხმარებელთა დირექტორიასთან დაკავშირება. აღნიშნულ სისტემას უნდა შეეძლოს ქსელის კომპონენტისთვის უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა;
- ქსელში უნდა მოხდეს გარკვეული მომხმარებლების და მათი როგორც პორტატული, ისე სტაციონარული მოწყობილობების იდენტიფიცირება და პროფილირება, განუსაზღვრელად მათი ქსელთან მიერთების ტიპისა (უსადენო, სადენიანი, VPN შეერთება);
- ზემოაღნიშნული მოწყობილობებისა და მომხმარებლების კლასიფიცირების მიხედვით შესაძლებელი უნდა იყოს ცენტრალიზებულად შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა და მათი ქმედებების მონიტორინგი ქსელში. უსაფრთხოების პოლიტიკების დარღვევის შემთხვევაში ცენტრალიზებულმა სისტემამ უნდა შეძლოს შესაბამისი შეტყობინებების გენერაცია;
- დემილიტარიზებული ზონის პერიმეტრის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს როგორც ბრანდმაუერით, ისე ქსელური შეტევების ამღკვეთი სისტემის (IPS) მიერ;
- დაშვების ქსელს უნდა ჰქონდეს ისეთი L2 უსაფრთხოების ტექნოლოგიების მხარდაჭერა, როგორებიცაა: DHCP Snooping, ARP Inspection;
- ქსელში გამართული უნდა იყოს მოშორებული ვირტუალური კერძო ქსელების შექმნის შესაძლებლობა. მოცემული სერვისი გამოყენებული იქნება, როგორც პირადი პორტატული კომპიუტერების, ისე მობილური მოწყობილობების



საშუალებით. აღნიშნული ვირტუალური ქსელის შიფრაციისთვის გამოყენებული უნდა იქნეს SSL ოქმი. სერვისის მომხმარებლებისთვის აუთენტიფიკაცია და უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა ცენტრალიზებული აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემამ უნდა განახორციელოს. მოცემული სერვისი თავსებადი უნდა იყოს დღეს ფართოდ გავრცელებულ პლატფორმებთან: Windows, Mac OS, iOS, Android;

- აგრეგაციის ბლოკს უნდა ჰქონდეს ცალკეული ქსელის სეგმენტების ტრაფიკის ფილტრაციის შესაძლებლობა;
- დაშვების ქსელში შესაძლებელი უნდა იყოს განსაზღვრული პორტების ერთმანეთისგან იზოლირება;
- შიდა სასერვერო ინფრასტრუქტურა ბრანდმაუერით უნდა იყოს დაცული;
- უსადენო დაშვების ქსელი გამართული უნდა იყოს როგორც სამსახურებრივი, ისე საჯარო მოხმარებისთვის. სამსახურებრივი რესურსების მომხმარებლებისთვის აუთენტიფიკაცია და უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა ცენტრალიზებულმა აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემამ უნდა განახორციელოს.

#### **მასშტაბირება**


- დაშვების კომპუტატორებსა და აგრეგაციის ბლოკს შორის შეერთება 10 Gigabit Ethernet ტექნოლოგიით უნდა ხორციელდებოდეს;
- დაპროექტება უნდა იყოს მაქსიმალურად მოდულური. ცვლილებები ერთ ბლოკში არ უნდა იწვევდეს ცვლილებებს ინფრასტრუქტურის სხვა სეგმენტებში;
- ყოველი წარმოდგენილი კომპონენტი მზად უნდა იყოს IPv6 ოქმის დანერგვისათვის.

კომპიუტერული ქსელის აქტიური ნაწილის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ცნობილი ბრენდების აპარატურა.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით. საკონკურსო წინადადებით გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯები კონკურსში გამარჯვებულს არ აუნაზღაურდება.

საბოლოო დოკუმენტაცია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მისი განხორციელების ღირებულება არ აღემატებოდეს: ქსელის პასიური ნაწილისა – 925000 (ცხრაასოცდახუთათასი) ლარს, ქსელის აქტიური ნაწილისა – 1450000 (მილიონ ოთხასორმოცდაათათასი) ლარს.

დაპროექტების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი საკითხები ზეპირად უთანხმდება შემსყიდველს.



## ხელშეკრულება

ქ. -----

2013 წლის -----

ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომ – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის, ზურაბ მარაქველიძის, სახით, და, მეორე მხრივ, ----- (შემდგომ – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ----- სახით, კონკურსის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომ – ხელშეკრულება) შემდეგზე:

კონკურსში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტის სასახლის ყველა კორპუსში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს არსებულ გარემოებებს, აღწერს ქსელის მოწყობას კონცეპტუალურ დონეზე და საშუალებას იძლევა, განხორციელდეს აქტიური და პასიური აპარატურის, საინსტალაციო და სერვისული მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში კომპიუტერული ქსელის შესაქმნელად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (71300000 - საინჟინრო მომსახურებები).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ----- ლარი.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

#### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი უფლებამოსილი პირია -----.

4.2. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

#### 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26.

5.2. მომსახურების მიწოდების საბოლოო თარიღია 2013 წლის -----.

#### 6. ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ანაზღაურება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

#### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს -----.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ვადებისა პირობების შესრულების კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზისა და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

#### 9. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა,

##### ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობები გადაისინჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა დაუშვებელია.

9.4. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. ხელშეკრულების მხარე ვალდებულია ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

#### 10. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილი არიან, დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ამოქმედდება 2013 წლის ---- და მოქმედებს 2013 წლის ---- ჩათვლით.

შემსყიდველი:

საქართველოს პარლამენტის აპარატი

მიმწოდებელი: